

საკუთარი სახელების წარმოქმნისა და გავრცელების პროცესი გერმანული ენის ისტორიის მიხედვით

ბაქრაძე მანანა

ასოც. პროფ. გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

სახელთა კლასი გერმანულში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ენაში, შედგება საზოგადო და საკუთარ სახელთა სუბკლასებისგან, რომელთა სრულყოფაც სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში პერმანენტულად მიმდინარეობს ენის ისტორიული განვითარების ფონზე. გერმანულ ენათმეცნიერებაში მიღებულია, საკუთარ სახელთა სუბკლასში გეოგრაფიულ სახელებთან ერთად გააერთიანონ ასევე პიროვნებების, ეროვნებათა/ეთნოსების სახელები.¹ საკუთარი სახელები მჭიდრო კავშირში არიან საზოგადო სახელებთან როგორც სახელდების პრინციპთან მიმართებაში, ისე ცოცხალი კონტაქტის – ზეპირი და წერილობითი – გზით ერთმანეთის სრულყოფისა და გამდიდრების თვალსაზრისით. ამ ორმხრივ პროცესს ლექსიკური დონის რამდენიმე ფენომენი ერთდროულად ასაზრდოებს: აფიქსაცია, სიტყვაწარმოება (უპირველესად დერივაცია და კომპოზიცია) და შესიტყვებათა წარმოქმნა (არტიკლების, ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი წინდებულების გამოყენებით). წინამდებარე ნაშრომში ასე სქემატურად ჩამოყალიბებული ეს პროცესი უფრო დაწვრილებითაა აღწერილი გერმანული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ ნებისმიერ სახელმძღვანელოში, აღარაფერს ვამბობთ საგანგებო მონოგრაფიებზე, მითუმეტეს, რომ საკუთარი სახელები ერის ისტორიის ცოცხალი მატანეა. მათზე დაკვირვებით გამოვლინდება მოტივაციის, როგორც იმპულსის როლი, მდინარეებისა თუ ტბების, ლანდშაფტის და ა.შ. სახელდებზე დაყრდნობით.

¹ [Sonderregger 1979: 14]

პარალელურად სახელი იმის საშუალებასაც იძლევა, გავარკვიოთ, თუ რომელი მათგანია საკუთრივ გერმანული წარმოშობის და რომელი სხვა ენებიდან და კულტურებიდან შემოტანილი. ენის ლექსიკის გადასახედიდან, სწორედ ამ კომპონენტთა ერთიანობა ქმნის იმას, რასაც *სამშობლო* ჰქვია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ყველა იმ კანონზომიერების განხილვა და შესწავლა, რაც საფუძვლად უდევს სახელების გავრცელებასა და დამკვიდრებას გერმანულ ენაში. სახელდება, სახელის ისტორია და სახელის მნიშვნელობა დამოკიდებულია ისეთ ძირითად კანონზომიერებებზე, რომლებშიც ისინი, სახელის არსისა და მისი რაობის ფართო თეორიულ კვლევაზე დაყრდნობის საშუალებით, მეტად ნათლად და საფუძვლიანად არიან წარმოდგენილი. ესენია: 1.საზოგადო/ზოგადი წარმომავლობის კანონზომიერება. 2.მოტივაციის კანონზომიერება. 3.იდენტიფიკაციის ან სახელწოდების კანონზომიერება. 4. სემანტიკური იზოლაციის კანონზომიერება. 5.სახელის მნიშვნელობის კანონზომიერება. 6. შეზღუდულობის/შემოფარგვლის კანონზომიერება. 7.ფარდობითი უწყვეტობის კანონზომიერება. 8.არასრული გრამატიკულობის კანონზომიერება. 9.ტექსტზე ფარდობითი დამოუკიდებლობის კანონზომიერება. 10.არასრული სალიტერატურო ენის კანონზომიერება. 11.სამართლებრივი ერთიანობის კანონზომიერება. 12.უკვე არსებული სახელებისაგან ყველა სახის სახელების მონაცვლეობითი/ ორმხრივი ფორმირების საშუალების კანონზომიერება.²

1. საზოგადო/ზოგადი წარმომავლობის კანონზომიერება: ნებისმიერი სახელი/გვარი, საკუთარი ეტიმოლოგიის მიხედვით თავდაპირველად საზოგადო სახელის სახით წარმოგვიდგება, რაც უპირველესად მისი დიაქრონულ ჭრილში განხილვისას გამოვლინდება და რასაც ეტიმოლოგიური ლექსიკონებიც მოწმობს. სახელდების ფენომენის ამ ასპექტში შესწავლა ენის ისტორიის სფეროს განეკუთვნება. ბევრი სახელის/გვარის საზოგადო სახელისგან წარმომავლობის დადგენა არ არის რთული მის ლექსიკურ ფონზე, ისევე როგორც ლექსემის ხმარების სიხშირეზე დაყრდნობით; ნათქვამს მოწმობს გვარები, რომლებიც იმავდროულად ერთობ გავრცელებული საზოგადო სახელებიცაა. მაგ.: ადგილების დასახელებისას: Dorf, Hof(en), ხოლო პიროვნებების დასახელებისას: Müller, Schmied, მოგვიანებით კი - Schmiedt. პარალელურად გვხვდება ასევე ნაკლებგავრცელებული, ან თითქმის გამოუყენებელი/ხმარებიდან გამოსული სახელები, რომელთაგან ზოგიერთი სახელთა

² [Seibicke 1989: 3406]

კომბინაციის გზითაც არის მიღებული. მაგ.: Meinrad(Kraft und Rat), Friedhelm(Friede und Kampf), ასევე Franzjosef=Franz-Josef,Johannes=Johann-Hannes-Hans. სახელების/გვარების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან არაგერმანული ენობრივი არეალიდან შემოსული და დამკვიდრებული სახელები, როგორებიცაა: Petrus, Stephan, Michael, David, Margareta. რაც უფრო დამორებულია სახელი/გვარი გერმანული ენის სტანდარტული ლექსიკისგან – როგორც სინქრონულ, ისე დიაქონულ ჭრილში, მით უფრო რთულია მისი ახსნა.

2. მოტივაციის კანონზომიერება:³ წინა პუნქტში განხილულისგან განსხვავებით – ანუ როცა მექნიკურად ხდებოდა მნიშვნელობის გადატანა საზოგადო სახელიდან პირზე – წინამდებარე პუნქტში მთავარია მოტივაცია, უფრო ზუსტად, პირველადი მოტივაციის გამიჯვნა მეორადი მოტივაციისაგან. სახელი/გვარის მოტივაცია ამ შემთხვევაში ეფუძნება ადამიანის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ლანდშაფტთან (ადგილის, მდინარის ან სივრცის/გარემოს დასახელებასთან) ან ადამიანის მსგავს ზებუნებრივი არსებების (მისტიური) ან ცხოველების (უმეტესად შინაური ცხოველების) სახელებთან. განხილულის ერთ-ერთი ნაირსახეობაა მოტივაციის გაფერმკრთალება, ანუ როცა სახელის/გვარის თავდაპირველი მნიშვნელობა ადარ არის სრულად გააზრებული, დაეუშვათ, ის გაიგივებულია არეალის, ადგილის, სოფლის ან ქალაქის სახელთან. მაგ.: Verona, Bern, Münster, Müller-Thurgau.

3. იდენტიფიკაციის ან სახელწოდების კანონზომიერება: ხშირ შემთხვევაში სახელები/გვარები ლექსიკურად აღწერენ ყველაფერს- იქნება ეს სულიერი თუ უსულო, რეალური თუ წარმოსახვითი მოვლენები, რაც სახელდების აქტის საშუალებით (როგორც გეოგრაფიული სახელების, გვარებისა და პიროვნებების სახელების შემთხვევაში, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა) დადგენილი და განსაზღვრულია. ერთნაირი ქდერადობის ან ერთი და იგივე ენობრივი ელემენტებისაგან ნაწარმოები სახელები, ყოველი მათგანი თავის მხრივ, აღნიშნავს ახალს, იქნება ეს გეოგრაფიული თუ უშუალოდ ადამიანთა ჯგუფებზე მიმართული. სახელწოდების ეს ფუნქცია ეფუძნება იმ ტრადიციას, რაც საუკუნეების განმავლობაში ენიდან ენას გადაეცემა. მაგ.: Bach- როგორც ნაკადული და Bach-როგორც ცნობილი კომპოზიტორისა და მუსიკოსის გვარი და ასევე Münster - როგორც ქალაქის სახელწოდება და Münster- როგორც ეკლესია.

4. სემანტიკური იზოლაციის კანონზომიერება: მესამე კანონში განხილული სახელწოდების ფუნქცია სახელდების მნიშვნელობას სულ უფრო და უფრო უკან ხევს და სრულიად აფერმკრთალებს მას, თუმცა პირველი კანონის თანახმად ყოველ სახელს თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა გააჩნია, რის საშუალებითაც იგი, ენობრივი თვალთახედვით, პირველადი სახელდებით გარკვეულ საზოგადო/ზოგად სფეროს მიეკუთვნება (ადგილის, პიროვნებების თუ მათი ჯგუფის, ტბების, ზღვების, მდინარეების) და არ არის მიმართული სიტყვის არსზე. ამით სახელი/გვარი სემანტიკურად იზოლირდება და მისი დიაქრონული განვითარება სიტყვის ისტორიისგან

³ [Grundgesetz der Motivation]

დამოუკიდებლად ხორციელდება, რაც ხშირად იწვევს სახელის ან გაუფერულებას ან მის გამყარებას. მაგ.: *Karl-Mann, Ehemann; Erbio- der Erbe; Ernst- Ernst, Eifer, Kampf; Graft-Kraft, Fähigkeit, Vermögen, Tugend, Macht; Brün-Braun, Burgio-Bürge; Held-Mann, Krieger; Minna-Liebe, Zuneigung, Eifer; Aro-Adler.*

5. სახელის მნიშვნელობის კანონზომიერება: ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული სახელებისთვის ნიშანდობრივია ემოციურობის, მაგიურობის (ადრეულ პერიოდში), მომხიზვლელობის (მოგვიანებით ქრისტიანულ პერიოდში) სემით ნიშანდებულობა. რადგან თითოეულს, თვით შეუმჩნეველი სახელსაც კი, გააჩნია მნიშვნელობა, რომელიც სახელწოდებასთან არ გაიგიავდება. სახელის მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთ სახელთან დაკავშირებული დადებითი, ნეიტრალური ან ნეგატიური ასოციაციების, წარმოდგენებისა და გრძნობების ერთობლიობა, რაც ნაწილობრივ სახელის მნიშვნელობას უკავშირდება, ნაწილობრივ კი გაიგება ამათგან სრულიად დამოუკიდებელი მაგიური ქარიზმა. ეს ყველაფერი განსაკუთრებით ნათლად ისეთ საკუთარ სახელებში ჩანს, რომლებიც უხვადაა გაჯერებული მაგიური, მითიური, გმირული, ქრისტიანული, უცხოური თუ ისტორიული ასოციაციებით. მაგ.: *Georg, Michael, Constantius, Benedictus, Aaron, Abel, Abraham, Alexander, Alexandra, Anna, Anastasia, Andreas, Markus, Nikolaus, Maria, David.* მიუხედავად ამისა, შესაძლებელია დროის განმავლობაში სახელის მნიშვნელობა შეიცვალოს, კერძოდ, შემცირდეს, გაძლიერდეს ან განეიტრალდეს იგი, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება მთელი ისტორიის მანძილზე ამ სახელის ირგვლივ, რა აღიქმება საზოგადოების მიერ დადებითად და რა უარყოფითად. ეს ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც ეხება, რომლის გმირების სახელებიც ვრცელდება და ფებს იკიდებს როგორც საკუთარი სახელები. მაგ.: *Werther, Gretchen, Cordelia, Doris, Hector, Ophelia, Rosalinda, Malvina.*

6. შეზღუდულობის/ შემოფარგლის კანონზომიერება: ენაში არსებული ლექსიკისაგან განსხვავებით სახელების საგანძური მეტად შეზღუდულია. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ისინი ფართოდ გადაეცემა ტრადიციულად თაობიდან თაობას ან ეპოქიდან ეპოქას მოდასთან მიმართებაში. ადგილისა და დასახლების სახელწოდების მინიჭებისათვის ვრცელდება შემდეგი კანონი: სახელდება ხდება დასახლების ან იმ სფეროს სახელის მიხედვით, რომელიც გამოიყენება ან საჭიროა არსებობისათვის: იქნება ეს აგრარული თუ გამოსადეგი ალპური მიწები. ამ კანონის თანახმად ფართოდება დასახლების არეალი განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც სახლები, ქუჩები, მოედნები და ჩიხები გეოგრაფიული არელების ანალოგიურ სახელებს იღებენ. კიდევ უფრო დიდია მსგავსი შემთხვევები მჭიდრო დასახლებებში, რის საშუალებითაც ისინი თავიდან იცილებენ იმ დაცილებასა და სიშორეს, რაც არსებობს მათსა და იმ პუნქტებს შორის, რომლებიც ცნობილია თავისი აგრარული დანიშნულებით ან კულტურის კერებით. ამით შეიძლება ითქვას, რომ სახელების საგანძური ნაკლებად არის განვითარებული და გავრცელებული ენის ლექსიკასთან შედარებით, რადგანაც ლექსიკა ღიაა სემანტიკური სიახლეებისთვის, მაშინ, როცა სახელები ჩაკეტილი, მხოლო განსაზღვრული ადგილების ან პიროვნების იდენტიფიკაციის გამოსახატავადაა მიმართული. მისი მეტად შემოსაზღვრული განვითარება კი ენის სინქრონულ ჭრილში გამოყენებით ხდება. მაგ.:

Lindober (წარმომავლობა უკავშირდება Lindau-ს), Sauter (წარმოდგება Schuster-ისაგან), Hofer, Villingner, Moosbauer, Lochbrunner და ა.შ.

7. ფარდობითი უწყვეტობის კანონზომიერება: სახელები საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებენ თავიანთ ფორმას, რაც უმეტესად ტოპოგრაფიულ და დასახლების სახელწოდებების მაკროსტრუქტურას და ასევე საკუთარი სახელების ძირითად კომპონენტებს შეეხება. სახელების ძირითადი სტრუქტურა ენის შეცვლის დროს ერთი ადგილიდან მეორეს გადაეცემა, ერთი დასახლებიდან მეორეს, ასე რომ, სახელის წარმოშობა და მისი ისტორიის დადგენა სხვადასხვა ენის დიაქრონული ინტერპრეტაციით ხერხდება, რაც იდენტიფიკაციის კანონის საშუალებით სულ მცირე გეოგრაფიული სახელების შემთხვევაში ძველ დასახლებებთან პირდაპირი კავშირშია. ამდენად, სახელების ისტორია დროსთან მიმართებაში ხშირად გერმანული ენის ისტორიის მიხედვით წინარე გერმანულ ეპოქაში (გერმანიკული, კელტური, სლავური, ინდოგერმანიკული და ა. შ.) ბრუნდება. მაგ.: *Norbert* (წარმოდგება Nordberaht-ისაგან: ahd. *nord* „Norden“), *Berthod* (წარმოიშვა Berahtwald-ისაგან: ahd. *beraht* „hell, glänzend, strahlend“), *Folkmar* (ahd. *folk* „Volk“)

8. არასრული გრამატიკულობის კანონი: საზოგადო სახელების საპირისპიროდ საკუთარ სახელებს მხოლოდ შეზღუდული ფლექსია და არტიკლის ნაკლებად გამოყენება ახასიათებს. გერმანულენოვან სივრცეში ადგილების დასახელებას ნათლად გამოხატული ლოკატური დატივის ფორმები ახლავს. (*Baden* - Bädern-თან, *Hofen* - Höfen-თან), ნაწილობრივ შემორჩენილია ძველი ლოკატივი ან ლოკატური ინსტრუმენტალისის ფორმები (მაგ.: *Bäch* <ahd. *ze Bachiu* „am Bach“) ან აშკარა წინდებულებიანი ფორმები (*Zermatt*, *Andrematt*, *Zeneggen*), ამასთანავე გვხვდება სხვა ბრუნვებიც (მაგ. გენიტივი ადგილის დასახელებისას), რომელთა შემთხვევაშიც რიცხვის შეცვლა შეუძლებელია (მხოლოდითი რჩება მხოლოდითად და მრ. რ. - მრავლობითად). ამდენად, სახელებს ენის გრამატიკულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, რაც ლექსიკურ დონეზე მათ სემანტიკურ იზოლაციას შეესაბამება: ფორმის მკვეთრი გამოხატულება მნიშვნელობის გაუფერულების გვერდით როგორც მისი გამოხატვის ფუნქცია.

9. ტექსტზე ფარდობითი დამოუკიდებლობის კანონზომიერება: სახელების გადაცემა თაობიდან თაობაზე ანტიკური ხანიდან მოყოლებული მეტწილად ტექსტის საშუალებით ხდება. დამაინც, გეოგრაფიულ საკუთარ სახელებში მნიშვნელოვნად კლებულობს დაქვემდებარებულობა ტექსტისადმი, ნათქვამი გარკვეულწილად, მაგრამ არა აბსოლუტურად პირთა სახელებზეც ვრცელდება, თუმცა მათი დაქვემდებარების ხარისხი ტექსტებისადმი უფრო მაღალია, რასაც ლიტერატურული პერსონაჟების სახელებიც მოწმობს; საზოგადო სახელები კი ტექსტზე მაქსიმალური დაქვემდებარებულობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით კი მათი პოლისემიურობის დროს.

10. არასრული სალიტერატურო ენის კანონზომიერება: ის, რომ დაწერლობა არ არსებობდა, ან თუ არსებობდა, იგი არასრულყოფილად მიიჩნეოდა, უკავშირდება სახელების რეგიონალურსა და დიალექტურ თვისებებს. თუმცა ახალი დროის გერმანული

ენის ისტორიაში სულ უფრო შეიმჩნეოდა დამწერლობისაკენ სწრაფვის ტენდენციები ან სახელების მხოლოდ რეგიონალური ნორმების დადგენისაკენ. ბევრი სახელი თავისი ბევრითი ფორმით რეგიონალურ წერით ტრადიციას შეესაბამება, რაც ცალკეულ შემთხვევებში დამწერლობაზეც ახდენდა ზეგავლენას. თუმცა, საზოგადო სახელების ლექსიკისაგან განსხვავებით, სახელების ორთოგრაფიისათვის არ არსებობს მკაცრად რეგულირებული გრაფიკული სისტემა, რომელიც ცალკეული რეგიონის ერთი და იგივე სახელის რამდენიმე ვარიანტის გაგებას შეძლებდა. ამდენად, ხშირად ერთმანეთის გვერდით ერთი და იგივე სახელის სხვადასხვა ორთოგრაფიულ ფორმას უჭირავს ადგილი (*Reute, Reuti, Rüte, Rüti, Rütthi „Rodung“*), რაც ცალკეული ადგილობრივი ვარიანტების იდენტიფიცირებისთვის მეტად სასარგებლო და გამოსადეგია. როგორც წესი, გვარები და მნიშვნელოვანი ადგილების სახელები შედარებით კონსერვატიული რჩება, ხშირად დიალექტურად კი, განსაკუთრებით გერმანული ენობრივი სივრცის განაპირა სასაზღვრო ადგილებში (მაგ. შვეიცარიაში, ავსტრიაში და სამხრეთ ტიროლში). განსაკუთრებულად პრობლემატურია ყოფილ ან ახლანდელ საზღვრებთან სიტყვებისათვის წერილობით გერმანული ფორმის მიცემა.

11. სამართლებრივი ერთიანობის კანონზომიერება: თითოეული სახელი იურიდიულად ადამიანის უფლებების, ოჯახის, მფლობელის, მესაკუთრისა და მემკვიდრის უფლებების ჩარჩოებში მეტად მნიშვნელოვანია და ამდენად ექვემდებარება სამართლებრივ ნორმებს. ამიტომაც არ არის ნებადართული მისი თვითნებურად ამორჩევა ან შეცვლა ორთოგრაფიულადაც კი. ეს ყველაფერი გერმანულ სივრცეში ეფუძნება ოფიციალურ სამართლებრივ აქტს. ამიტომაც ლეგიტიმურია სახელის/გვარის უფლებასა და ვალდებულებაზე საუბარი. ამასთან მიმართებაში აღსანიშნავია გერმანიაში ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში გვარების აღწერის დაკავშირება გარკვეულ სამართლებრივ აქტებთან. ცალკეული პიროვნებების შემთხვევაში განიხილებოდა როგორც ნათლობის, ქორწინებისა თუ გარდაცვალების რეგისტრაცია, ასევე მოსახლეობის ოფიციალური დათვლა საცხოვრებელი ერთეულისა და პირადი საგადასახადო მონაცემებით.

12. უკვე არსებული სახელებისაგან ყველა სახის სახელების მონაცვლეობითი/ორმხრივი ფორმირების საშუალების კანონზომიერება: აქ ლაპარაკია სახელებისა და დასახელებების წარმოებაზე, რომლებიც უკვე არსებული სახელებისაგან და დასახელებებისაგან სხვადასხვა სახით წარმოიშვება. განსაკუთრებით ხშირია ახალი სახელებისა და დასახელებების წარმოება პიროვნებების, ცხოველების, ადგილების, დასახლებისა და გვარებისაგან, რომლის დროსაც ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა ხშირად დამატებითი სიტყვათწარმოების გარეშე მიმდინარეობს. ეს კანონზომიერება უკავშირდება მეექვსე კანონზომიერებას დასახელების შეზღუდვის შესახებ და მეორე კანონზომიერებას სახელის მოტივაციის შესახებ, რადგან უკვე არსებული დასახელების მოტივაცია ახალი სახელის მრავალფეროვნებას ძლიერ ზღუდავს. მაგ.: Wunderlich, Hitz (Hirsch), Stolz, Hering, Hummel, Winter, Sommer, Hase, Sperling, Haupt, Stirn u. s. w.

წინარე ძველგერმანულ პერიოდში, ე. წ. ხალხური ენიდან გადმოცემის წინ (მე-8ს.-დან), საუბარია წინარე გერმანული სახელების (მოგვიანებით) გერმანულ ენაში როგორც

ტრადიციის ასევე ადაპტაციისა და ინოვაციის პროცესსა და დიფერენციაციის პროცესებს შორის გერმ.-ადრეული გერმანული სახელდებით გამიჯვნაზე. ჯერ კიდევ 8/9 ს. ლიტერატურული ძეგლების გამოყენებას ლათინური წყაროებიდან სახელების ფართო შემოდინება უსწრებს წინ, რაც შეეხება საკუთარ და საერთაშორისო სახელებს, ისინი ლათინურ-ბერძნულ ანტიკურ ეპოქაში დაბრუნების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით დიდია სახელების ინტერპრეტაცია ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში. მათი ანალიზი და გაგება შესაძლებელია ზემოთხაზოთვლილი და განხილული კანონზომიერებების საშუალებით.

დამოწმებანი

წიგნები:

1. ბახი 1952-1953: Bach, Adolf: Deutsche Namenkunde. Bd. I, 1–2: Die deutschen Personennamen. 2. stark erw. Aufl. Heidelberg 1952–1953. Bd. II, 1–2: Die deutschen Ortsnamen. Heidelberg 1953–1954. Registerband, bearb. von Dieter Berger. Heidelberg 1956.
2. ბერგერი 1976: Berger, Dieter: Zur Abgrenzung der Eigennamen von den Appellativen. In: BNF NF 11, 1976, 375–387.
3. ბიკელი 1978: Bickel, Hartmut: Beinamen und Familiennamen des 12. bis 16. Jahrhunderts im Bonner Raum. Bonn 1978. (RA 106).
4. ბოეში 1956: Boesch, Bruno: Namenforschung und Landesforschung. In: RVj. 21, 1956, 70–76. (Fs. Adolf Bach. 2. Teil).
5. გიოშელი 1965: Göschel, Joachim: Zur Frage eines deutschen Namenatlasses. In: BNF 16, 1965, 268–297.
6. ზეიბიკე 1989: Seibicke, Wilfried: Reader zur Namenkunde III, 1, Toponymie. Germanistische Linguistik. 1989
7. ზონდერეგერი 1979: Sonderegger, Stefan: Grundzüge deutscher Sprachgeschichte: Grundzüge deutscher Sprachgeschichte, in 2 Bdn., Bd.1, Einführung, Genealogie, Konstanten 1979
8. ჰაუბრიქსი 1983: Haubrichs, Wolfgang/Hans Ramge (Hrsg.): Zwischen den Sprachen. Siedlungs- und Flurnamen in germanisch-romanischen Grenzgebieten. Beiträge des Saarbrücker Kolloquiums von 9.–11. Oktober 1980. Saarbrücken 1983. (Beiträge zur Sprache im Saarland 4).
9. ჰილგემანი 1974: Hilgemann, Klaus: Eigennamen und semantische Strukturen. In: BNF N.F. 9, 1974, 371–385.
10. Sprachgeschichte. 2004: Ein Handbuch zur Geschichte der deutschen Sprache und ihrer Erforschung. Hsg. von Werner Besch . Anne Betten. Oskar Reichmann. Stefan Sonderegger. 4. Teilband Walter de Gruyter. Berlin. New York. 2004.